შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ნ ე ო ფ ა რ მ ი

2023 სამეურნეო წლის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ქ. თბილისი

2024 წელი

ინფორმაცია საზოგადოებისა და მისი საქმიანობის შესახებ

საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და დასახელება	*შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება* “ნეოფარმი“
საზოგადოების საიდენტიფიკაციო კოდი	211340930
საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხ-ნი მე-12 კმ
საზოგადოების დაფუძნების თარიღი	1997 წლის 13 მაისი
საზოგადოების ტელეფონი	259 64 46
საზოგადოების ელ. ფოსტა	office@neopharmi.ge
საზოგადოების დირექტორი	ლაშა ბაკურიძე
საზოგადოების საქმიანობის საგანი	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება

შპს ნეოფარმი

წლიური ანგარიში 30 სექტემბერი 2024 წელი

ანგარიშში ასახული დროის მონაკვეთი: **2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით**

ფინანსური ანგარიშგების შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

სრული შემოსავლის ანგარიშგება 5

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 6

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 7

ფინანსური ანგარიშგების ახსნა–განმარტებითი შენიშვნები 8-20

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ნეოფარმი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი

აქტივები	შენიშვნა	საანგარიშგებო წელი 31.12.2023	საანგარიშგებო წელი 31.12.2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	557,409	657,522
სავაჭრო მოთხოვნები		224,038	1,214,740
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		104,260	20,441
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	5,136,870	5,899,916
სხვა მიმდინარე აქტივები		23,443	36,910
სხვა არამატერიალური აქტივები		70,403	72,007
ძირითადი საშუალებები		672,795	529,702
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1,736,748	525,817
სულ აქტივები		8,525,966	8,957,055
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		1,242,433	894,733
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		185,613	184,428
საგადასახადო ვალდებულებები		44,428	62,718
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		21,998	55,423
სხვა ვალდებულებები		937,996	920,505
სულ ვალდებულებები		2,432,468	2,117,807
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,180	2,180
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		6,002,641	6,622,286
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		**6,004,821**	**6,624,466**
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		88,677	214,782
სულ საკუთარი კაპიტალი		**6,093,498**	**6,839,248**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**8,525,966**	**8,957,055**

ლაშა ბაკურიძე

დირექტორი

დარეჯან წიკლაური

ფინანსური დირექტორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ნეოფარმი“

კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი

	შენიშვნა	საანგარიშგებო წელი 31.12.2023	საანგარიშგებო წელი 31.12.2022
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან		15,300,119	18,295,166
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		24,791	129,888
სხვა შემოსავალი		31,280	32,763
სულ შემოსავალი		15,356,190	18,457,817
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(10,327,020)	(8,989,349)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(4,392,791)	(4,248,773)
ცვეთა და ამორტიზაცია		(148,093)	(128,982)
საპროცენტო შემოსავალი		14,514	6,078
საპროცენტო ხარჯი :		(6,310)	(13,686)
იჯარის ხარჯი		(783,062)	(871,505)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2	(1,160,105)	(1,248,118)
სულ საოპერაციო ხარჯები		(16,802,867)	(15,494,335)
საოპერაციო მოგება/ზარალი		(1,446,677)	2,963,482
წმინდა საკურსო სხვაობა		(834)	(78,956)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(4,912)	(18,513)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(1,452,423)	2,866,013
მოგების გადასახადი		-	(392,077)
მოგება განკუთვნილი:		(1,452,423)	2,473,936
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		(1,307,181)	2,226,542
არამაკორექტირებელი წილის მფლობელთათვის		(145,242)	247,394
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(1,452,423)	2,473,936

ლაშა ბაკურიძე
დირექტორი
დარეჯან წიკლაური
ფინანსური
დირექტორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ნეოფარმი“

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

კაპიტალი საწყისი ნაშთი (2022 წლის 31 დეკემბერი)	6,837,048
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(377,900)
მიმდინარე პერიოდის მოგება	(1,452,423)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1,084,573
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 2023 წ. 31 დეკემბერი	6,091,298

ლაშა ბაკურიძე

დირექტორი

დარეჯან წიკლაური

ფინანსური დირექტორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ნეოფარმი“

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

ლარი

	საანგარიშო 2023 წელი	წინა საანგარიშო 2022 წელი
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	657,522	313,698
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(99,279)	422,780
სავალუტო კურსის ეფექტი	(834)	(78,956)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	557,409	657,522

ლაშა ბაკურიძე

დირექტორი

დარეჯან წიკლაური

ფინანსური დირექტორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ნეოფარმი“

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1

1. ზოგადი ინფორმაცია

მშობელი- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეოფარმი“ რეგისტრირებულია საქართველოში, გადასახადის გადამხდელად ირიცხება 1997 წლის 13 მაისიდან და მინიჭებული აქვს საინდენტიფიკაციო ნომერი 211340930; იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ.

შვილობილი- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეოფარმი+“ რეგისტრირებულია საქართველოში, გადასახადის გადამხდელად ირიცხება 2007 წლის 10 სექტემბრიდან და მინიჭებული აქვს საინდენტიფიკაციო ნომერი 204537858; იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ.

ორივე საზოგადოების ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი ლაშა ბაკურიძე (პ/ნ01017013008).

ჯგუფი ნეოფარმი შედგება ფიზიკური პირი ლაშა ბაკურიძის მფლობელობაში არსებული 10% წილისაგან და 90% წილით საკუთრებაში მყოფი შპს „ნეოფარმი+“ -სგან, რომელიც არის ნეოფარმის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსკლუზიური მყიდველი და რეალიზატორი.

კომპანიას აქვს საკუთარი ვებ გვერდი: www.neopharm.ge

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების "ნეოფარმი"-ს მიერ წარმოდგენილი 2023 სამეურნეო წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - "ანგარიშგება") მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - "მსს ფასს-ები") შესაბამისად.

ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში – 2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – ჯგუფში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

ოპერაციები კომპანიასა და შვილობილ საწარმოს შორის, რომელიც მისი დაკავშირებული მხარეა, ელიმინირებულია კონსოლიდაციის დროს.

შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ჯგუფის შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით. საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

წარდგენის ვალუტა

ჯგუფის მოქმედი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

თარიღი	31.12.2023	31.12.2022
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირდება მომხმარებელთა მიერ საქონლის დაბრუნების, ფასდათმობისა და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის (წარმოების) დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიცაა პირდაპირი შრომა და ნედლეული.

გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ საეჭვო მოთხოვნებისა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო დავა. ასეთ დროს საეჭვო მოთხოვნა აღირიცხება სხვა მოთხოვნებისგან დამოუკიდებლად, სასამართლო გადაწყვეტილებამდე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს. ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აქტივის

ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია წრფივი მეთოდი. ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისათვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადადები:

- შენობები – 20 წელი;
- ნაგებობები – 10 წელი;
- მანქანა-დანადგარები – 15 წელი;
- კომპიუტერული ტექნიკა – 5 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა – 5 წელი;
- ავეჯი და ინვენტარი – 10 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები – 10 წელი;
- პროგრამული უზრუნველყოფა – 5 წელი.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება 15%-იანი ამორტიზაციის განაკვეთი, წრფივი მეთოდით. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგებაზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ

ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის ინდეტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გაუფასურების ზარალი მაშინვე მოგება-ზარალში აღიარდება. თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღუარებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო გასულ წლებში.

გაუფასურების ზარალის ანულირება მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

გაუფასურების ზარალი მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებთან მიმართებაში ფასდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, და გადავა რეზერვში, თუ არსებობს პოზიტიური ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებულ დაშვებებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განსუაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

<u>დაბეგვრა</u>

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამო კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს.

კომპანია დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საეჭვო ვალების ანარიცხები

კომპანია საეჭვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საეჭვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი.

საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.

შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები.

საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები.

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

საანგარიშო 2023 წელი	ლარი
ბანკის მომსახურების ხარჯი	75,194.72
წარმომადგენლობითი ხარჯები	19,114.15
შეძენილი მომსახურეობა	109,595.24
ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება	49,782.00
მედიკამენტების სარეგისტრაციო ხარჯი	5,730.00
სალარო აპარატის მომსახურება	12,329.00
თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლის დაფინანსება	924.24
კომპიუტერების ხარჯი	7,864.64
მივლინების ხარჯი	9,811.30
მიზნობრივი დასუფთავება	2,385.60
სატელეფონო მომსახურება	30,696.52
ინტერნეტმომსახურება	11,953.38
სხვა მოსაკრებელი სა სანებართვო ხარჯები	17,755.47
ქონების და მიწის გადასახადი	14,936.32
შესრულებული სამუშაო	5,923.88
სარეკლამო ხარჯი	91,356.85
სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯი	112,304.39
ყოველთვიური მოგების გადასახადი	11,788.64
სატრანსპორტო ხარჯი	346.18
ანალიზისა და კონტროლის ხარჯი	1,036.80
ელ-ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი	245,156.53
1000 ლ-მდე ღირ-ის ძირ. საშუალებები	39,372.55
ძირითადი საშუალებისა და შენობის რემონტი	8,893.12
სხვადასხვა ხარჯი	2,724.23
სავალდებულო დაზღვევა	465.00
შენატანი საპენსიო ფონდში	76,332.00
იჯარით აღებულ შენობაზე გაწეული ხარჯები	6,494.67
რეგისტრაციის ხარჯი	5,038.50
იურიდიული ხარჯი	164.00
ქულებით გაცემული საქონლის ხარჯი	37,745.23
საფოსტო მომსახურება	236.60
სარემონტო ხარჯი	11,512.98
მანქანის ხარჯი	135,140.27
სულ ხარჯები	**1,160,105**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი

	საანგარიშო 2023 წელი
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	491,438
ფული სალაროში	65,971
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	557,409

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ლარი

	საანგარიშო 2023 წელი
საქონელი	4,566,489
ნედლეული და მასალები	454,448
ნედლეული და მასალები წარმოებაში	34,728
მზა პროდუქცია	81,205
დამხმარე მასალები	-
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგი	5,136,870

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ნეოფარმი“

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2024 წლის 30 სექტემბერი.

Lasha Bakuridze 01017013008

Digitally signed by Lasha Bakuridze
Date: 2024.09.30 14:11:39

ლაშა ბაკურიძე

დირექტორი

დარეჯან წიკლაური

ფინანსური დირექტორი